



1927

ସେବରୀଥାଶୀ

№ 16

„პიონერის“ წელის გოგონებისა სუურაზრები!

„პიონერის“ რედაქციაში მოდის ცნობები იმის შესახებ, რომ ადგილებზე იწერენ უურნალს, მაგრამ ხელის მომწერლები მას არ ღებულობენ. რომ ასეთ შემთხვევებს მომავალშიაც არ ექნეს ადგალი, რედაქცია სთხოვს ხელის მომწერლებს აცნობონ მას (რედაქციას) უურ. გამოწერის ქვითარის № (ნომერი) და რომელი ნომრიდან არ მიუღიათ უურნალი.

აგრეთვე ხელის მომწერლები ფულს ხშირად სხვა მისამართით აგზავნიან, რასაც ზოგჯერ ჩვენი უურნალის გამომცემლობა ვერ ღებულობს. მიუხედავად ამისა, უურნალს მაინც რედაქციიდან მოითხოვენ. მომავლისათვის უურნალის გამოწერა შეიძლება უფელა ადგილობრივ ფოსტის კანტორაში, სახელგამის წიგნის მაღაზიებში და პირდაპირ რედაქციიდან.

რედაქციის მისამართი: ტფილისი, რუსთველის გამზირი, № 23, სახელგამი, „პიონერის“, და „ნაკადულის“ რედაქციას.

უოგელგვარი მიწერ-მოწერა, უურნალის საკითხთან დაკავშირებული, ამ მისამართით უნდა იქნას წარმოებული.

ესრ. „პიონერის“ რედაქცია

შ ი ნ ა რ ს ი:

88.

1. ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე	1	7. ყოველი ბავში უნდა იცნობდეს სამხედრო საქმეს	20
2. აღმოსავლეთის შვილები—შ. გასაძის	2	8. ფრონტები არაა, ობის საშიშროება არის—გ. ლუარსამიძის	20
3. შორეული ამხანაგები—კ. სტეფანიშვილის	6	9. მოვაწყვეთ ექსკურსია—ი. მანაგაძის	21
4. მთიან ტაიგაში—ლეონოვის	10	10. როგორ უნდა გაკეთდეს საწერი მოწყობილობა—ე. პოლუმორდიოვინს	22
5. საქართველოს კომეავშირის ათი წლის თავზე—კ. წალენჯიხელისა	16	11. თამაშობანი	24
6. ჩვენი ძმები მსოფლიოში—	18		

329.153(05)

მუშათა 3-47- საქმისათვის იუსტიციური



ო რ ბ ე რ ი

1927

1 სექტემბერი

განათლების სახალის კომისარიადაციას საფინანსო აღმისართნელთა განათლების და საძირთულოს მ. კ. თ. უწყვეტალები მიერთა სად. ა. ლ. კომისარიადაციას ცუკთად) აუზნადი ბაზარისათვის

წელიწადი II

№ 16

ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე.

სექტემბრის პირველ რიცხვებში ერთმანეთს ემთხვევა ახალგაზრდათა კომუნისტური მოძრაობის სამი დიდი დღისასწაული: ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე, ახალგაზრდათა პროლეტარული მოძრაობის ოცი წლის თავი (შტუტგარდტის კონგრესი 1907 წ.) და საქარ. კიმკავშირის 10 წლის თავი.

4 სექტემბერს
საერთაშორისო
პროლეტარული
ახალგაზრდობა
კიდევ ერთხელ,
მე-XIII-ჯერ, და-
ოთვალ იერებს
თავის რიგებს და
ძალებს. არ მო-
იპოვება დედა-
მიწის ზურგზე
ისეთი კუთხე,
სადაც ეს დღე
არ ძლინიშნოს
დიდი დემონ-
სტრატეგია
მშრომელი
ახალგაზრდო-

ბის მიერ; 4 სექტემბერს იქაც კი, სადაც კიდევ ბატონობს კაპიტალი და მუქთახორები, სადაც არ-
სებობენ მშვიდობიანობის ცეცხლის წამკიდებლები და ბანდიტები, — მძლავრად გაისმება საპროტესტო
მილიონი ხმები იმპერიალისტური ომების საშიშროების წინააღმდეგ.

ამ დღეს გამოვა მთელი ქვეყნის მშრომელი ახალ-
გაზრდობა და სხვა მოთხოვნებთან ერთად მოიხვევს
თვისი ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ამიტომ ზედმეტი არ იქნება, თუ გადავხედავთ
კაპიტალისტურ ქვეყნებს და დავინახავთ, თუ რო-
გორ ცხოვრობს იქ მშრომელი ახალგაზრდობა. კა-
პიტალისტური ქვეყნების პროლეტარიატის საგრძნობ
ნაწილს ახალგაზრდობა წარმოადგენს, რომელიც
შეუჩერებლივ ყვლეფას განიცდის. მთელ რიგ
ქვეყნებში სრუ-
ლიად არ არსე-
ბობს ახალგა-
ზრდობის შრო-
მის დამცველი
კანონმდებლო-
ბა; ახალგაზრდა
ღებულობს მცი-
რე ხელფას, არ
აქვს შვებულე-
ბის უფლება, არ
არის უზრუნველ
ყოფილი ავად-
მყოფობისდროს
და სხვა, რის გა-
მოც ის აუტა-
ნელ პირობებ-
ში იმყოფება.



ს. ა. ლ. კ. კ. ცეკას პრეზიდიუმი.
შუაში—ცეკას მდივანი ამბ. მიშა გობეგია.

ინგლისის სამრეწველო დაწესებულებებში მუშა-
ობს $2\frac{1}{2}$ მილიონი ახალგაზრდა მუშა—14—16 წ
ასაკის. ახალგაზრდობის სამუშაო ხელფასი არ აღ-
მატება 72 შილინგს (შილინგი—50 კ.), ქალების
კი 48 შილინგს. ზოგიერთ წარმოებაში თვიური
ხელფასი უდრის 20—30 შილინგს, იმ დროს,
როდესაც საცხოვრებლად აუცილებლად საჭიროა
დახლოვებით 180 შილინგი. ამაზე უარესი მდგო-
მარებაა გერმანიაში, საფრანგეთში, იტალიაში,

საბრძოლებელ მოძაობას წარმადგენერი

პოლონეუში, ამერიკაშიაც და ყველგან, სადაც კაკიტალიზმია გაბატონებული!

და სწორედ 4 სექტემბერს, მე-XIII საერთაშორისო დღეს, ეს უფლებააყრილი მუშა ახალგაზრდობა გამოვა ქუჩებზე და დაანახვებს კაპიტალისტურ მსოფლიოს თავის დარაზმულობას და მოთხოვნებს.

საბჭოთა კავშირის მშრომელი ახალგაზრდობა ამ დღეს ჩაიტარებს თავისუფლად, ხოლო ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში ამ დღეს მეტად მძიმე პირობებში ატარებენ: იქ ბურჟუაზია ტყვია-წამლით წინ აღმდეგა ახალგაზრდობის დემონსტრაციებს, მაგრამ პროლეტარულ ახალგაზრდობას, რომელსაც გამარჯვების ღრმა რწმენა აქვს, ვერ შეაშინებს ტყვია, ციხე, ელექტრონის სემი და სხვ.

4 სექტემბერს ერთხელ კიდევ მოიგონებს ახალგაზრდობა პროლეტარიატის საქმისათვის დაღუპულ ამხანაგებს, გაორკეცებული ენერგიით, გაკეუბული ენერგიით, გაკაუებული სულით გადალიავს ყოველგვარ წინააღმდეგობას და მის ხელმძღვანელ კომპარტიისთან, ლენინურ პარტიისთან ერთად გასწევს წინ მსოფლიო კაპიტალის საბოლოოდ გასანადგურებლად.

სექტემბრის პირველ კვირასვე ვზეიმობთ შტუტგარტის კონგრესიდან 20 წლის თავს. ახალგაზრდათა ორგანიზაციები, როილებიც მიმდინარე საუკუნის დასაწყისში წარმოიშვენ ევროპის მთელ რიგ სახელმწიფოებში, კაპიტალისტების მიერ მუშათა და შეგირდების ექსპლოატაციის და მილიტარიზმის

წინააღმდეგ საბრძოლებელ მოძაობას წარმადგენერი

1907 წ. 24—26 აგვისტოს შტუტგარტში თავის საერთაშორიშო კონფერენციაზე პირველი შეხვდენ ერთოშეორებს სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდათა ორგანიზაციების წარმომადგენლები. ამ კონფერენციაზე დაარსდა „ახალგაზრდობის სოციალისტური ორგანიზაციების პირველი საერთაშორისო გაერთიანება“.

შტუტგარტის კონფერენციის მთავარი საკითხი იყო ბრძოლა იმპერიალიზმის და იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ შტუტგარტის კონფერენციის თავმჯდომარე იყო კარლ ლიბკნეხტი. კარლ ლიბკნეხტის ხელმძღვანელობით დაარსდა ახალგაზრდობის I ინტერნაციონალი და შესდგა მისი რეკოლუციონური პროგრამა.

ყოველი მშრომელი ახალგაზრდა, ყოველი პიონერი, ყოველი მშრომელი ბავში — დემონსტრაციაზე 4 სექტემბერს, ახალგაზრდათა კომუნისტური მოძრაობის მე-XIII საერთაშორისო დღეს, შტუტგარტის ოცი წლის და საქართველოს ლენინური კომკავშირის ათი წლის თავზე!

ამხანაგო პიონერებო!

ყველა, როგორც ერთი კაცი, 4 სექტემბერს თქვენი რეინის რიგებით — დემონსტრაციაზე!

გაუმარჯოს ახალგაზრდათა მე-XIII საერთაშორისო დღეს!

გაუმარჯოს სოიცალიზმს!

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას და მის საიდო შემცვლელთ — ლენინურ კომკავშირს და პიონერ-ორგანიზაციას!



კ ლ ა რ ს ა ვ დ ა თ ი ს გ ვ ი დ ა ბ ი ძ ა ბ ი

I. შემთხვევა პარტ სიგსის სკოლაში.

ეს მოხდა ერთი წლის წინათ შანხაიში.

კათოლიკური მისიონერის (ქრისტიანობის მქადა-
გებლის) სიგის სკოლაში ელოდენ ვიღაც საყურად-
ლებო სტუმარს.

მეცადინეობა არ იყო დაწყებული და 123 ჩინელი ბავში დარბოდა სკოლის ეზოში. უცებ მო-
იტბინა სიგსმა და უბრძანა ბავშებს რიგში ჩადგო-
მა. სკოლის კარებთან მოვიდა ავტომობილი. ერთ-
ნი ლაპარაკობენ, რომ მოვიდა გენერალი დუნკანი,
ინგლისის მთელი შეიარაღებული ძალების მთავარ-
სარდალი ჩინეთში, მეორენი,—ეს მისი წარმომად-
გენლები მოვიდენ და არა თვითონ დუნკანიო.

დღეს დღესასწაულია მთელი „კულტურული“
ინგლისის. დღეს საუკეთესო მისიონერული სკოლა
პატრ (მღვდელ) სიგსისა დღესასწაულობს თავისი
ასებობის 10 წელს შანხაიში.

როდესაც საპატივცემულო სტუმარი დიდი ამ-
ბით მიიღეს, ის მივიდა და დაათვალიერა ჩამწერივე-
ბული ბავშები. სიგსმა წარმოსთქვა საზეიმო სიტყვა,
რომელშიაც ლაპარაკობდა, იმ სკოლის კედლებში
აღიზარდა ინგლისის ერთგული რამოდენიმე ასეული
აღამიანიო.

გენერალმა მადლობა გადაუხადა პატრს, ხო-
ლო შემდეგ კი მადლობის დამსახურების ნიშნად
გაშალა აბრეშუმის პატარა დროშა ინგლისისა, რო-
მელიც მთავარსარდლობაშ უძლვნა დამსახურებულ
სკოლას.

პატრ სიგსის თვალებზე ცრემლები გამოჩნდა,
ის არ ელოდა ასეთ პატივისცემას. ის დაბნეული
იდგა და არ იცოდა, თუ ვისოვის დაევალებინა ასე-
თი საპატიო როლი—საჩუქარის მიღება ასეთი სა-
ყურადღებო გენერლისაგან.

სიგსის თვალები შეუჩერებლად გადარბის პა-
ტარა ჩინელების სახეებზე, მან არ იცის ვიზე შე-
ჩერდეს. მოულოდნელად მან გადასწყიტა და სთხო-
ვა გენერალს, რომ მან ამოირჩიოს თავისი შეხედუ-
ლებით, თუ რომელ მოწაფეს გადასცეს დროშა.

გენერალი ორ ნაბიჯს წასდგამს იმ ბავშისაკენ,
რომელიც პირველ რიგში სდგას და იღიმება. გენერ-
ლის მიახლოებაზე ის ჩინელი ბავში კიდევ უფრო
იღიმება, თითქმის იცინის. მისი ჩვეულებრივზე მეტად
გაღებული თვალები ეშმაკურად და უტიფრად გა-
მოიცქინება. ის ძველი მოწაფეა, და პატრი სიგი
დამშვიდდა. ფინ-კუნი შესძლებს მიიღოს დროშა და
მადლობა გადაუხადოს ისე, როგორც საჭიროა.



დროშა ეცემა სკოლის ქვაფენილზე.

ფინ-კუნ მწერივიდან გამოვიდა ერთი ნაბიჯით.
გენერალმა მას გაუწოდა დროშა, მაგრამ ფინ-კუნი
რაღაც „დაბნეულად“ ართმევს მას, მისი „ბრწყინვა-
ლების“ დროშა სამარისებური სიჩუმის დროს ეცემა
სკოლის ეზოს ქვაფენილზე.

გენერალი მოიღუშა, სიგსის თვალთ დაუბნელ-
და, 13 წლის პატარა ფინ-კუნი უძრავად სდგას და
მისი თვალები მხიარულად იცინიან.

შემდეგ უცებ ის იღებს სერიოზულ სახეს,
სწრაფად იხრება ძირს, იღებს დიდი ბრიტანეთის
დროშას და გაუწოდებს მას გენერალს:

— ცი დონტ უონტ ფლეგ (ჩვენ არ გვინდა
თქვენი დროშა), — უბნება ის ინგლისურად, — ჩვენ
გვაქვს ჩვენი დროშა.

ამ სიტყვის შემდეგ პატარა ფინ-კუნი გარბის სიგსის სკოლის დიდი კარებისაკენ და იქიდან კი ქუჩაზე.

ფინ-კუნმა დასტოვა ის სკოლა, რომელშიაც ასობით აღიზარდენ „ინგლისის ერთგული ადამიანები“.

ძლიერ უქმაყაფილო და ბრაზმორეული გამოდიოდა გენერალი სკოლის ეზოდან, ის არც კი დამშვიდობებია პატარა... გასრიალდა გენერალი ავტომობილით.

უგრძნობლად მყოფი სიგსი დახნეულად აცეცებდა თვალებს, ის ჯერ კიდევ ვერ გამორკვეულიყო, თუ რა ხდებოდა მისი გარშემო...

* * *
* * * * *

მეოთხე დღეს სკოლაში მივიდა მხოლოდ 16 ბავში. სკოლის ეზოს კედლებზე დიდი ასოებით იყო დაწერილი:

— იპნ-ჩი-ძი (ზღვას ეშმაკები, — ასე აგინებენ ჩინელებს ინგლისელები).

პატარა სიგსმა ამ დილით სთქვა, რომ მეცადინეობა მეტი არ იქნება, რაღგანაც სკოლა გადადის ხუნანის პროვინციაში.



სკოლის ეზოს კედლებზე დიდი ასოებით იყო დაწერილი.

ამბობენ, რომ ფან კუნ და დანარჩენი ჩინელი ბავშები სწავლობდენ სკოლაში, სადაც კედლებზე გამოკიდებულია სუნ-იატ-სენის სურათი.

ვინ იკის, შეიძლება თინ-კუნი დღეს ერთ-ერთი წევრია იმ ცხრაათასიანი პიონერ-ორგანიზაციისა, რომელიც ახლა ჩინეთში არსებობს?

II. ჩინელი სოფლის ბავშები.

ჩინეთი უმთავრესად გლეხთა ქვეყანაა. პუხოვ რებაა თვითეულ 100 ადამიანში იქ 90 გლეხია.

მრავალი ასეული ათასი პატარა და დიდი სოფელი არის გამარტინი ჩინეთის თვალუწვევენელ სივცეზე და მათში, როგორც სკაში, ისე გრიალებენ და ხშაურობენ გლეხთა ბავშები.

მეტად ცუდ შთაბეჭდილებას სტოვებს ჩინეთის სოფელი მნახველზე.

წითელი მიწით, გაოლინით, არის აშენებული მათი ფანზები (ქოხები), რომელთაც მინის მაგიერ ჩასმული იქვე ქალალდი. ასეთი საცხოვრებელი სახლი ჩვენებურ ბოსელს უფრო გავს, ვიდრე ადამიანთა ბინას.

შიგნით ქოხში მიწისგანვეა გაკეთებული ლოგინები, რომელზედაც ჩინელები იპადებიან, კვდებიან, სძინავთ და სჭამენ. გარდა ამისა იქ არაფერი არ არის.

თათეულ სოფელს იჩველივ არტყია მაღალი ქვის კედლები, რომლითაც მცხოვრებლები თავს იცავენ თავდასხმისაგან და გაძარცვისაგან.

მთელ დღეებს, სანამ მშობლები და მოზრდილები მუშაობენ მინდობრში, მცირეწლოვანი ბავშები ატარებენ უმეთვალყურეოდ, დაკეტილ ქოხში, სიბინძურეში და ტალახში, ნახევრად სიბნელეში, სადაც თავს იყრის რამდენიმე ათასი ბუზი და სხვა მწერები.

ამ ბავშებს განსაკუთრებით ეშინიათ ევროპელების.

თეთრი ევროპელი პატარა ჩინელს და ხშირად მოზრდილებსაც წარმოდგენილი ჰყავთ როგორც საშინელი ბარბაროსი.

საკმარისია გამოჩენდეს ის ჰორიდან, რომ ბავშები ყვირილია და ტარილით გაჩბიან სხვადასხვა მხრისაკენ — ტყისაკენ, ბოსტნებისაკენ, ფანზებისაკენ და სხვა, რომ იქ დაემალონ ევროპელს.

როდესაც მიაღები დამალული ბავშის თავშესაფარს, ის ეფარება მამის და დედის ზურგს, შეშინებული გამოიცირება იქიდან და ცდილობს კიდევ უფრო დაიმალოს მშობლების ზურგს უკან.



ბავშები გარბიან ევროპელის დანახვაზე.

როგორდაც უკმაყოფილოდ ხვდებიან თეთრებს მოზრდილებიც. ისინი თავს უხრიან, სალაშს აძლე-

ვენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც ეჭვის თვალით უყურებენ მათ...

ჩინეთის სოფლების დიდ უმეტესობაში არ არის არც სკოლა, არც მასწავლებელი, ხოლო გასაზობი სახლების, ქოხ-სამკითხველოების, კინოს, ოე-ატრის და სხვების შესახებ ხომ ლაპარაკიც ზედ-მეტია.

სოფლებში წერა-კითხვის უცოდინარია 99 პროცენტი.

ბავშებს სოფლებში ზრდიან ურუმორშმუნოება-ში და შიშში, მათ აშინებენ „ღმერთით“, მზით, წყლით, მწერებით, მხეცებით და სხ.

როდესაც ბავშს შეუსრულდება 7—8 წელი, ის თავის მშობლებს მიჰყავთ მინდვრად მძიმე სამუ-შაოზე, საჯაც ისინი ძლიერ იღლებიან.

ასე ცხოვრობენ სიბნელეში, უსწავლილობაში და მძიმე უძომაში ჩინელი ბავშები.


შ. ვასაძე.



პიონერი უვლის ქათმებს.

შალვა

ქახბნებაძი



ქვრივი ელისაბედი და შალვა.

ყოველ დილას, იყივლებდენ თუ არა მამლები, ქვრივი მრეკავის ოთახში ლამფა ინთებოდა.

ქვრივს გამოჰქონდა საცვლები და იწყებდა რეცხვას. დიღხანს მუშაობდა მდუმარე, ბოლოს ფანჯრებს მოადგებოდა დღის ნათელი და ლამფას შუქი ელეოდა.

ელისაბედი სარეცხს თავს ანებებდა და პაჭია ოთახში გადიოდა.

— ადექ, ვაჟკაცო, ადექ. გაიღვიძე, ისმოდა ქრისტის დაბალი ხმა; მაგრამ, როგორც სჩანს, „ვაჟკაცი“ გაღვიძებას არ აპირებდა, და ქვრივიც ხმის უმატებდა:

— ამდენი ძილიც არ გამიგონია, დედა გენაცვალოს.

— გათენდა? — იკითხივდა ნამდინარევი ხმა.

— გათენდაო? — გაიკვირვებდა ელისაბედი და მოჰყვებოდა ხალისითა და სიყვარულით:

— მზემ ფანჯარას სხივი სტყორცნა,
დილა არის მშვენიერი...

პატარა შალვა გაფაციცებით უსმენდა დედას, იქნებ ლექსი შესცდეს, გაუსწოროო, მაგრამ ელისაბედმა ლექსები იცოდა და შეცდომას არ უშვებდა.

შალვა დგებოდა, მკვირცხლად იცვამდა ტანს და ხელ-პირს იბანდა, თან მოგონებული წყენით უსაყვედურებდა დედას:

— მზე ჯერაც არ ამოსულა და არაფერიც არ უტყორცნია...

— სტყორცნა, შვილო, და გაათავა; კიდეც დაიმალა! —

ეს კი მართალია — მზე არ სჩანდა; შემოდგომა იყო, ქარი ჰქონდა და სქელი ღრუბლები შემორტყმოდა ცას.

გამოლვიძებული მეზობლები სამუშაოდ მიიჩქაროდენ და ეზოში მათი საუბარი ისმოდა.

დედა და შვილი მოუჯდებოდენ მაგიდას და მადიანად შეექცევოდენ საუზმეს. შემდეგ ერთად გამოდიოდენ, ოთას ჰქონდენ და მიეშურებოდენ: შალვა სკოლაში, ელისაბედი კი გაუყვებოდა ქუჩას, თავის მუშტრებს დარეცხილ საცვლებს აბარებდა, თან ახალ სამუშაოს იღებდა.

სად ხდება ეს ამბავი?

დედა და შვილი ქალაქის განაპირი უბანში ცხოვრობდენ და სკოლა შორს იყო. შალვამ ვიწრო, ვაობიანი ორლობე გაიარა და ფართო მინდობრში გამივიდა. მინცვრიდან კარგად სჩანდა ნავსადგური, თვალუწვდენი ზღვა და შორს ქალაქი. ნავსადგურში იდგა ოკეანეს დიდი გემები და ხმალდები.

ზღვა ღელავდა, გაშმაგებული ქშენით ისროდა ცეკვებურთელა ზეირთებს, და ზეირთებიც, ცისკიდურიდან დაძრულნი, მშიერი ნადირებივით ეხე-ჯებოდენ ნაპირს და გაბმული ზათქით მიღამოს აყრუებდენ.

რამდენჯერ უბანავნია ზაფხულში აქ შალვას!

ზღვა ძალიან ლრმაა, მაგრამ შალვამ ცურჩაიცას; ყვინთვაც ეხერხება და ხშირად, ძალიან ხშირად დაუყვინთავს და ფსკერიდან სილა ამოულია.

განა ყველას შეუძლია ეს?

არა, ყველას როგორ შეუძლია!

მაგალითად, შალვას ერთი ამგანავი ჰყავს — სახელად ჯოჯიკა. კარგი ბიჭია ჯოჯიკო, მაგრამ არა თუ ყვინთვა და სილის ამოღება, ცურვაც არ იცის, და როცა სხვები ყიუინით შორს მისცურჩავნ, ჯოჯიკო ნაპირს ვერ სცილდება და მუხლიამდე წყალში ჭყუმპალიობს.

სკოლაში მიმავალი შალვა მისდა შეუმჩნევლად შესდგა ნაპირზე და ზღვის ღელვას ააღევნა თვალი; თანაც წარსული ამბები მოაგონდა. და უნებურად გაელიმა:

მოღი და ნუ გაგეცინება.

წელს ზაფხულში ამხანაგები ერთხელ ზღვაში ბანაობდენ; შალვა შეუმჩნევლად ამოვიდა ნაპირზე და ამხანაგების საცვლები მაგრად გამონასკვა.

როდესაც ეს ამხანაგებმა შეიტყვეს, შალვა სიცილ-ხარხარით შორს გარბოდა, ხმოლო ამხანაგები ნაკვებს კბილებით ხსნიდენ და ერთმანეთს დასცილდენ:

— გაამოს! —



ეს რომ მოაგონდა შალვას — გაიღიმა. შემდეგ სიცივე იკრძნო და ის იყო წასვლას აპირებდა, რომ ვიღაცამ დაუძახა:

— შალვა! —

შალვა მობრუნდა: ჯოჯიკო იყო, აი ის, ცურ-ვა რომ არ იცოდა.

ამხანაგები ერთმანეთს მი-
ესალმენ.

— იცი, რა, შალვა? —

— რა?

— ერთი იტალიური გემი
ჩამოვიდა და მოდი ვნახოთ?

— გემი?

შეუყოყმანდა შალვა.

— ჰო, გემი, იტალიური
გემი, — ეზიდებოდა ჯოჯიკო ამ
ხანაგს და თან სულდაუთქმე-
ლად უამბობდა: — მოსეც იქ
ირის, ჩვენი მოსე, და ვიღაც
მეზღვაურს უცდის.

მეგობრები წავიდენ იტა-
ლიური გემის სანახავად, რო-
მელიც დიდიხანი არაა, რაც მო-
სულა.

გემი, მოსე და ვასიკოს მამა.

ვეებერთელა თოკებით და-
ბმული გემი გარინდებით იდგა
ნაპირთან და მსხვილი მილებით ზანტად უშვებდა
ყომრალ კვამლს.

კვამლს ქარი იტაცებდა, ზღვაზე აფენდა და
შემდეგ ჰაერში ჰჭანტვდა.

გემზე მეზღვაურები საქმიანობდენ: ბანზე თო-
კებს ახვევდენ. ზოგი იატაკს სწმენდდა, ზოგი რას
ეზიდებოდა და ზოგი რას. მიუხედავად სიცივისა,
რამდენიმე მეზღვაურს გულ-მკერდი გაელელა, ხო-
ლო ზოგიერთებს ფეხზედაც არ ეცვათ და ფეხშიშ-
ვლები არხეინად მიმოდიოდენ.

შალვამ ეს დაინახა და კინაღამ შესცივდა მათ
მაგივრად, მაგრამ თავი გაიმხნევა და გემს დაუწყო
თვალიერება.

საბარგო იყო გემი.

მგზავრები არ მოუყვანია და აქედანაც მხი-
ლოდ ტვირთი უნდა წაეღო. ამიტომ, უთუოდ, მა-
ლე შეუდგებოდა გემი ტვირთვას და მისი ტვირთი,
მანგანუმი, ანუ შავი ქვა (რაც ძალიან ძვირად ფა-

სობს! ნაპირიდან სულ ოციოდე ნაბრჭის მისამა-
რებით ეწყო დიდრონ გორებად.

ეწყო დიდრონ გორებად მანგანუმი და დღის
სინათლეზე ტლუ ელვარებას გამოსცემდა. გემზე
საგანგებო განყოფილების მუშაკები და სანაპიროს
ექიმი ასულიყვნენ, რომელიც სათითაოდ სინჯავ-
დენ გემის მსახურთა შემადგენლობას.



ამხანაგები ზღვაში ბანაობდენ.

— ვასიკოს მამა! — იცნო ექიმი შალვამ და გაუ-
კვირდა:

— რათ სინჯავს მეზღვაურებს? — ჰეითხა შალ-
ვამ ჯოჯიკოს. ჯოჯიკომ არ იცოდა.

— ვასეს ეცოდინება! —

წლოვანობით მოსე თავის ახალგაზრდა მეგობ-
რებზე ბევრად უფროსი იყო და უფრო ბევრიც
იცოდა; ძალიან ბევრიც, თითქმის ყველაფერი. მა-
გალითად, იცოდა ინგლისური ენა, იტალიური
ენა, იცოდა ალლოს აღება, თუ რომელ მეზღვა-
ურს როგორ გამოსაუბრებოდა და შემდეგ თავისი
ახკომეავშირის წევრობის ნიშანი ეჩვენებინა და
მეგობრობაც გაეჩაღებია. მოსე აქვე ახლოს ცხო-
რობდა და თითქმის ყოველ ახალ გემს ხვდებოდა;
ძმიტომ არ არის გასაოცარი, მას რომ უცხოელ მე-
ზღვაურებზე ბევრი ნაცნობი და ძმაკაცი ჰყავდა.
ახლა მოსე თოკის მორგვზე იჯდა, პაპიროსს
ეწეოდა და გემზე ვიღაცას უთვალთვალებდა.

უცხოეთის გემი და ისევ ვასიკოს მამა.

შალვა და ჯოჯიკა მივიდენ მოსესთან. შალვა მამ ჰქითხა: — მოსე, რატომ სინჯავს ვასიკოს მამა უცხოელ მეზღვაურებს? —

მაგრამ, როგორც სჩანს, მოსეს კითხვა არ გაუგონია, ის მხიარული და იღელვებული წამოდგა და კვლავ დაჯდა, თანაც ვაიღიძა.

ეტყობოდა, ვიღაც დაინახა მოსემ გემზე და მხიარულება ვერ დაპფარა. შემდეგ დაბნეულმა შეხედა შალვას და ჯოჯიკოს მიუგო:

— ჰო, სწორედ ის მეზღვაურია. —

შალვამ ვერაფერი გაიგო. ვერც ჯოჯიკა მახვდა რამეს.

— ვინ მეზღვაური, მოსე, მე გვითხე, თუ ვასიკოს მამა რატომ სინჯავს უცხოელ მეზღვაურებს! —

— აჲა! — მიხვდა და გაიცინა მოსემ.

— მე მეგონა, — დაუმატა შემდეგ, — ჩემ ნაცნობ უცხოელ მეზღვაურზე მეკითხებოდით. ის, ის ხნიერი კაცი ჩემი ნაცნობი და მეგობარია, იტალიელია.

უცხოელმა მეზღვაურმა თვალი მოჰკრა მოსეს და გაულიმა. მოსემაც გაულიმა და ხელი დაუქნია.

მეზღვაურს, როგორც სჩანს, რაღაც დაასაქმეს და ის გემის ოთახში შევიდა. მოსე ყურადღებით მისჩერებოდა გემის ოთახის კარს, როდის გაიღება და გამოვა ჩემი მეგობარიო, მაგრამ კარი არ იღბოდა და მოსე ნელა მოუბრუნდა შალვასა და ჯოჯიკოს და მათი შეკითხვა მოიგონა:

— მაშ თქვენ კითხულობთ, თუ ვასიკოს მამა რატომ სინჯავს უცხოელებს? —

როცა მევიმეობმა დაუდასტურება: — ჰო, ეს ვაკითხეთო, — მაშინ განუშარტა მოსემ:

— ეგ იმიტომ, რომ ხშირად გემზე სხვადასხვა გადამდები ავადმყოფობა მძვინვარებს და რომ ავადმყოფობა ქალაქში არ გავრცელდეს, ამიტომ ხელადვე სინჯავენ მეზღვაურებს: თუ რაიმე ავადმყოფობა აღმოჩნდა, — გემს უკანვე ისტუმრებდნ, თუ არა და ღებულობენ...

მიხვდით!

— მივხვდით! —

— ეგ კარგი, რომ მიხვდით, მაგრამ სკოლაში რატომ არ მიდიხართ? —

— ჯერ ადრეა.

— თანაც შენი მეგობრის ნახვა გვინდა, — მიუგეს ჯოჯიკომა და შალვამ.

ამ დროს გემზე გათავდა საეჭიმო ვასინჯვა.

ექიმი და საგანგებო გაყოფილების თანამშრომანები დაემშვიდობენ უცხოელებს და თოკის კრბით დაეშვენ დაბლა.

მათ უკან მოჰყვებოდა მოსეს მეგობარი, იტალიელი მეზღვაური.

როცა ჩვენს მეგობრებს გაუთანასწორდენ, ექიმმა ღიმილით ჩაულაპარაკა რაღაც საგანგებო განყოფილების თანამშრომლებს და მათაც გალკეოლად გაიღიმეს. ერთმა შაჯანმა და ექიმმა სალაში მასცე შალვასა და ჯოჯიკოს.

იტალიელი მეზღვაური.

მხიარული ღიმილით შეეგება მოსე უცხოელ მეზღვაურს.

— წამოდგა და ხელი ღონივრად ჩამოარჩა.

მოხუცი მეზღვაურიც სიყვარულითა და ნდობით შესცეროდა მოსეს და ულიმოდა. გაიმართა საუბარი.

აღტაცებული ბეგრები ესმოდათ შალვასა და ჯოჯიკოს, მათი საუბრის შინაარსისა კი არაფერი გაეგებოდათ.

ალბათ, ერთიმეორე მოიკითხეს და ახლა ცოტათი დამშვიდებულად საუბრობდენ. უეცრად მოხუციმა ჩვენი მეგობრები დაინახა და მოსეს რაღაც ჰკითხა:

პასუხი უთუოდ მოეწონა მოხუცს, ჩიბუხი პირიზან გამოიღო და თვალებგაბრწყინებულმა ხელი გაუწოდა შალვასა და ჯოჯიკოს.

— მაშ, ესენი პიონერებია? — მერამდენეჯერ კითხულიბდა მოხუცი თავის ენაზე და აღტაცებული თვითვე ასკვინდა:

— ყოჩალ, მართლა რომ ყოჩალ! —

დ ო ო .

უეცრად გემმა საყვირი ბოხის ხმით ააყვირა და მუშაობა დაიწყო.

გემს მიადგა შატარებელი მანგანუმით დატვირთული რონოდებით; რონოდებზე ავიდენ ნიჩბებით შეიარაღებული და მტვირთავი მუშები და დაიწყეს მანგანუმის გადაცლა დიდრონ კასრებში.

კასრები სწრაფად ივსებოდა, გემი მსუბუქად იტაცებდა კასრებს მაღლა და „ტრიუმში“ აპირქვავებდა.

ჩვენს მეგობრებს ბევრჯერ ენახათ აქაური მუშაობა და არ გაჰკვირვებიათ.

მეზღვაურს მისჩერებოდენ და უსმენდენ, თუმცა არაფერი გაეგებოდათ მათი ნალაპარაკევისა.



შუცხოლი მეზღვაური მხიარულად უაშბობდა შალვას იტალიელი პიონერების შესახებ.

მართილია, მოსე სთარგმნილი მეზღვაურის სიტყვებს, მაგრამ ყველაფერს კი არა! მოსეც გატაცებით უსმენდა მოხუცს და შალვასა და ჯოჯიოსთვის არ ეცალა. რამდენი ხანია შალვას ერთი რამე უნდოდა გაეგო მოხუცი მეზღვაურისაგან და მოსეს ყურადღება ვერ მიიქცია...

სახელოს ქაჩავდა, ეუბნებოდა:

— მოსე...

მაგრამ მოსე გართული იყო, თანაც ჯოჯიომ დაიკინა:

— წავიდეთ, შალვა!

და შალვას საშველს არ აძლევდა.

— ჰო, ჰო, ახლავე!

ბოლოს ვერ მოითმინა და მოსეს მიახალა:

— მოსე, ჰკითხე ბიძიას, მათში თუ არიან პიონერები! —

— ჰა?

შალვამ გაუმეორა.

— რა თქმაუნდა, არიან, — თავისით მოუგო მოსემ, მაგრამ შალვა არ დაკმაყოფილდა:

— ჰკითხე, მოსე, ჰკითხე.

მოსემ ჰკითხა.

მაშან აღტაცებით გაიცინა ანდრეამ (ანდრეა ერქვა მოხუც მეზღვაურს, და მოსეც ბიძია ანდრეას უძახდა მას).

გაიცინა ანდრეამ და ხელი მხარზე დაჰკრა ჩვენ მეგობრებს:

— არიან, არიან. ახ, რა კარგი ბიჭები არიან! — იძახდა ანდრეა და ლონივრად არყევდა შალვასა და ჯოჯიოს.

— გმაღლობ! ძალიან კარგი, — სთქვა შალვამ, შემდეგ ჯოჯიოს მოუბრუნდა:

— დროა წავიდეთ.

შალვა და ჯოჯიო გამოეგშვიდობენ ბიძია ანდრეას, გამოეგშვიდობენ მოსეს და თავისი გზით გაემართენ.

ბიძია ანდრეა კი გულკეთილად იცინდა:

— კარგი ბიჭები არიან, კარგი! —

(დასასრული იქნება.)

კ. სტეფანიშვილი.



მთის ძირას, სადღაც მიუვალ სიღრმეში, ხმაურობდა მდინარე. ხის ამშვანებულ ფოთლებს შორის მოსიანდა, როგორ გადარჩოდა ქვებზე მდინარის ქაფიანი თეთრი ტალღები. კარგია მდინარესთან ახლოს ყოფნა. იქ წყალს გადასცეკრენ ფერადი მოცხარის დიდი მტევნები, კლდის პირას კი ლოვლივებს შავი და ტკბილი მაყვალი.

აიმანისი მაყვალს შეექცა, წყაროს ანკარი წყალი დალია და გზას გაუდგა. ვიწრო ბილიკით აღიოდა სულ ზევით, ზევით. ქვევით კი ბიბინებდა მაღალი ბალახი, რომელშიც აიმანისი აღვილად დაიბალებოდა. როცა აიმანისი მდინარის ნაპირებს მიყვებოდა, ხედავდა, რომ მის თავზე ირხეოდენ ცისფერი ყვავილები. აიმანისი აღიოდა მთაზე, — დაბლა კი ბიბინებდა დიდი ბალახი. მონადირის სავალი ვიწრო ბილიკით ის ნელ-ნელა მიუახლოვდა ნაძვნარებს. რაც უფრო მაღლა აღიოდა, ხეების ქვეშ ბალახი კლებულობდა, ტყე კი უდაბური და ბნელი ხდებოდა. აიმანისი ავიდა მთაზე და დაინახა, რომ იქეთ მეორე კიდევ უფრო მაღალი მთა აღმართულიყო; მდინარის ხმაური კი ტყეში იკარგებოდა.

ირგვლივ სიჩუმე იდგა. ბალახის მაგიერ ქვები ხავსს დაეფარა აიმანისი ხევსზე წამოწვა. კარგი იყო მსუბუქად წოლა და ცისათვის კერა, მაგრამ დიდხანს წოლა არ შეუძლია აიმანის. მან იცის, რომ საღამომდე უნდა მოასწროს მეორე მთის გიდასვლა. მას იმედი იქვს, რომ იქ, მდინარესთან, მცხოვრებლებს ნახავს.

აიმანისი თერთმეტი წლისაა. ის აღტაველია; პატარა და სუსტი ბავში, შავგრემანი სახით, ვიწრო შავი თვალებით; მას სწორი და შავი თმები უჩანს დახეული ქუდიდან.

აიმანისი პატარაა და სუსტი. ტაიგა კი ასეულ ვერსზე გაჭიმული. ტაიგაში მრავალი მხეცი ცხოვრობს. აიმანისს კი არ ეშინა ტაიგის; ის შეეჩინა მას.

რამდენიმე ხანს იწვა ხავსზე. შემდეგ ისევ განაგრძო გზა. ის ნაძვებიც. ნაძვები აღვილი საცნობია. ნაძვი მსხვილი ტანის ხეა, სწორი, მსუბუქი და

გრძელი წიწვი. აქვს, შტოები დაბლა ეხრება. ასეთია ეს ვეებერთელა ხეები. მის ფოჩიან ტოტებზე აიმანისი ხედავს ლილისფერ ნაყოფს. მან იცის, რომ ის მწიფე არაა. რომ იყოს — იგემებდა მის სიტკბოს. ვის არ უყვარს ნაძვის ნაყოფი?

მდინარის ხმაური ვერ ახწევს აქ. მდინარე სრულიად არ სხანს. ის დაბლა დარჩა. იქ მიღუღუნებენ მასი ლურჯი ტალღები. აიმანისი კი ნაძვების უდაბურ ტყეშია. ის მათ შორის მიღის. ნაძვები აბურ-ძენულნი არიან. ზოგიერთი მათგანი ავდარს გაუტეხია წელში. უფრო ზევით ხეებიც ქრება.

კლდის პირას გველივით მიიკლავნება ბილიკი. ბილიკი სჭრის მთის აყვავებულ ფერდობებს. ყვავილები აქ სხვანაირია. არა ვაგას ბარის ყვავილებს. ბალახი ფარავს ქვიან ადგილებს. მოლში შოსხიანან ცისფერი, ყვითელი, ლილისფერი და იეთრი ყვავილები. მარცხნივ კი დიდი თოვლი დევს. მთის მწვერვალზე ჰაერი ცივია და უჩვეულო. მთებს მთელი ზაფხულის განმავლობაში თოვლი ფარავს. თოვლი აქ არ დნება.

აიმანისი მიჰყვება ბილიკს. არ გრძნობს დალლილობას. უღელტესილით ადის მწვერვალზე. რას ხედავს იქ?

მთის ორივე მხრივ, სადაც თერთმეტი წლის აღტაველი აიმანისი სდგას, მოსხანან მდინარის შეტებილი ნაპირები, ყველგან მთებია, მთები, — სადაც თვალი მიწვდება. აიმანისის თვალი კი შორს იხედება. მთები ისეთია, როგორც ზვირთები ქარიშხალში. მწვერვალებზე ვერცხლისფრად გამოიყურება თოვლი.

აიმანისს ბევრჯერ უნახავს აღტაის მთები. ისინი მუდამ მშვენივრად გამრიყურებიან. უნახავს კატუნის მთები, მწვერვალი ბელუხა, რომელიც მუდამ ბრწყინვალეა თოვლითა და ყინვარებით. უნახავს ბევრი სხვა მთაც.

აიმანისი განაგრძობდა გზას. ბილიკი ხვეულად გადადიოდა ქვებზე, გველივით იკლავნებოდა ალ-



ტაის ჭალების აყვავებულ ფერდობებზე და იმალებოდა ნაძვებში.

აიმანისს უნდოდა ადრე მისულიყო ნაპირთან. იქ ის ფიქრობდა აღამიანების ნახვას.

ქვემოთ ბნელად გამოიყურებოდა ნაძვების ტყე. ნაძვების ქვეშ ეყარა ხავსი. სადღაც შორს კი ხმაურობდა მღინარე. თეთრი ქაფით იშლებოდა მისი ზვირთი და ოოცა მზე უნდა მოფარებოდა ტყიან მთას, აიმანისი ჩავიდა სათიბში. ვერსნახვარი გზის გავლის შემდეგ, შებინდების უამს, მინდორში დაინახა კარავი.

აკპაის კარავში.

შავად გამოკრთის მოხუცი აკპაის კარავი. იქ კვამლისაგან ჩაბნელებულია ყველაფერი. კარავის შუა აღილი კერას უჭირავს. კერაზე კი ზამთარ-ზაფხულის განმავლობაში ჩაუქრობი ცეცხლი გუზგუზებს. კვამლი კარავის ჭერთან ბრუნავს და სახურავის ჭურჭუტანებში გადის. ზოგჯერ მთელი კარავი კვამლით დაიბურება. შეუჩეველი თვალი კარავში ტკივილს გრძნობს. ცეცხლზე დადგმულია ქვაბი. ქვაბის სახურავი გაგლესილია მიწით. ქვაბიდან ორი მილი გამოდის. ქვაბში აღუღებენ შედედებულ რძეს. ერთი მილთავანი შეერთებულია დოქთან, რომელიც ჩადგმულია ცივი წყლით სავსე ვეღროში. მოხუცი პაიდორა აკპაისათვის ამრიგად ამზადებს რძის არაყს.

აკპაი ცეცხლის პირას წევს, კერასან, მარცხნა მხრიდან. მოხუცი უყვარს არაყის სმა, ის მით იმხიარულებს სევდიან გულს.

კედელთან ტყავის აბგები აწყვია. მთელი ავლადიდება იქ ინახება. ორი ასეთი აბგა, ერთმანეთზე გადაბმული და ცხენზე გადაკიდებული — ყველაფერია. საჭიროა მხოლოდ ბაჭრით მისი მიმაგრება კეჩხე. აკპაის აბგაში უწყვია სხვადასხვა ნივთი: ქურქი, ირმის ტყავისაგან შეკერილი ქალამნები, ცხვრის ტყავი და კიდევ ბევრი რამე. ყველაფერზე უფრო აკპაი უფრთხილდება თავის თოფს. აკპაი მონადირეა, მონადირისათვის კი თოფი ყველაფერზე ძვირფასია.

აკპაი მოუთმენლად ელის იმ წუთებს, ოოცა პაიდორა დუმილით გაუწვდის მას თბილი არაყით სავსე ხის ფინჯანს. ოოცა პაიდორა უფრო მეტ სიყვარულს იჩენს მოხუცი ქმრისაღმი, ფინჯანს საკუთარი ენით ლოკავს და გაქონილი ხალათით სწმენდს. ასევე იქცევა ის საპატიო სტუმრის მიღებისათვის.

აკპაი წევს და ტკბება თბილი არაყის სმით. ის ხედავს, რომ ძაღლი ფხიზლად აცეცებს თვალებს. ის, ძაღლი წამოლგა და კარავიდან გარეთ გდეარდა. მოხუცებმა გაიგონეს მისი ყეფა, ბავშის ჟი-

ვილიც... ცოტა ხნის შემდეგ კარავის შავ სარკმელ ში ვიღაცამ შემოჰყო თავი. მას დახეული ქუდი ეხურა.

— გამარჯობა, — სთქვა აიმანისმა. — გამარჯობა, მამავ!

— ვინ ხარ, რა გქვიან? — შეეკითხა აკპაი ბავშს.

— აიმანისი, — უპასუხა ბავშმა.

— სად არის მამაშენი? — ისევ შეეკითხა აკპაი.

— მე აზ მყავს მამა, არც დედა, არავინ არ მყავს! — მოკლედ და მოწყენით სთქვა აიმანისმა.

— ვინ გინდა შენ? ვის ეძებ? — იკითხა პაიდორამ.

— მე ვეძებ ახალ დედასა და მამას! — მწუხარედ უპასუხა ბავშმა.

— დაჯექი! — უთხრა აკპაიმ.

პაიდორამ ბავშს საჭმელი გამოუტანა. აიმანისი მაღიანად შეექცა გარეული თხის ხორცის, მშრალ ყველისა და მაწონს.

პაიდორა ღმიობიერად უცკერდა მას.

მოხუცმა აკპაიმ აიმანისს უთხრა:

— მე მოხუცა ვაჩ, ჩემი ცოლიც მოხუცებულია, შენ იქნები ჩვენი შვილი. გინდა ჩვენთან დარჩევ?

აიმანისი სიამოვნებით დასთანხმდა.

პაიდორამ ალერსიანად გადახედა აიმანის. მოხუცმა სთქვა:

— ჩვენ, ალტაელებს, ძველი ღროიდანვე გვაქვს ასეთი ჩვეულება, — ყოველი ჩვენთავანი იშვილებს ობოლს. განა შეიძლება, რომ ბავში დარჩეს უბინოდ და დადიოდეს მშეორ-მწყუტრვალი? სანადიროდ ერთად წავალთ! და მოხუცმა აიმანისს თავზე გადაუსვა ხელი.

აიმანისი დარჩა მოხუც ცოლ-ქმართან. პაიდორამ ბავშს გაუშალა ძველი ქვეშაგები, და აიმანისი დაწვა და ტკბილად მიერჩია. პაიდორამ ქმარს გაუწიოდა თბილი არაყით სავსე ფინჯანი. აკპაიმ გამოსცალა ფინჯანი და სიმღერა შემოსძახა.

პაიდორამ ალერსიანად გადახედა თავის მოხუც ქმარს და კიდევ გაუწიოდა მას არაყით სავსე ფინჯანი.

აიმანისს ღრმად ჩაეძინა.

გამგზავრება.

ამგვარად, აიმანისი გახდა მოხუცი ალტაელების შეილობილი. მოხუცი აკპაი უცკერის ბავშს და ფიქრობს: „აი, ახლა მყავს შეილი, ის დამებმარება“. პაიდორას უხარისა. ახლა ისინი უფრო მხიარული არიან, ვიდრე წინათ, ოოცა მარტო იყვნენ. თუმ-



სოფ. ახალდაბის (გორის მაზრა) ოქტომბრელები.

ცა ზაფხულობით არავითარი საქმე არა აქვთ, მაგრამ ცოტა რამ გასაკეთებელი მაინც გამოჩენდება. აკაიმ განიზრახა ახალი ბაშრის დაწვნა ცხენის ძუისაგან; აიმანისი ეხმარებოდა მას ყოველ საქმეში; იქნებოდა ეს შეშის თუ სხვა საჭირო მასალის მოტანა, — აიმანისი ეხმარებოდა მოხუცს.

აკაიმ თავისი ცხენი მთელი თვეთ გაუშვა პირდაპირ ტაიგაში, მთებში, სადაც ჯოვებად დადიან, თავისუფლად სძოვენ აბიბინებულ ბალას და მოვენებული არიან კოლოებისა და ბუზებისაგან.

როცა დაღვება მომთაბარობის დრო, აკაი აიმანისთან ერთად წავა მთებში, ისინი შემთავლიან ტაიგის მიდამოებს და მათ ფხიზელ თვალებს ვერ დაემალებიან ცხენები. არც არის ძნელი ცხენების ნახევა: ცხენები არ ეტანებიან ტყეებსა და ბარდებს, ისინი სძოვენ ბალას გაშლილ ველებზე, სადაც ყვავილები და დაუღნობი თოვლი ფერად ხალიჩად გადაფენია მთის წვერებს. სწორედ ამ გაშლილ ველებში უნდა ეძიონ მათ ცხენები.

აკაის კარავის ზევით მთის ფერდობი ვიწროდა დაქანებული. ფერდობზე დაკლაკილი ბილიკი მოსხანს. მეტად დიდი დროა საჭირო, რომ ამ ბილიკით მთაზე ახვიდე. მიდიხარ და გვონია, რომ

ერთსადაიმავე ადგილზე იმყოფები. გავლილი მანძილის წარმოდგენა შეიძლება მხოლოდ იმით, რომ სულ უფრო-და-უფრო პატარავდება აკაის საზაფხულო კარავი. პატარავდება აგრეთვე მწვანით მოსილი ველიც. მარტინივ კი, სადაც მიჩუჩებებს პატარა მონაბრი, ლურჯად მოსხანს გაშლილი დიდი ტბა. ეს ტბა მხოლოდ ლურჯი წერტილივით მოსხანს ვიწრო ხეობაზე დაკლაკნილი ბილიკიდან.

— დადი ტბა! — ამბობს აკაი. — მალე ამ ტბზე ჩამოვალთ.

მთის მწვერვალზე, ვიწრო ბილიკის გზაზე, აიმანისმა დაინახა ნაძვის ტოტებზე ჩამოკიდებული ორი წყვილი თხილამური.

— ეს თხილამურები ჩემია! — ამბობს აკაი. ეს ზამთარში დაგვჭირდება.

— თავდარივიანი კაცია, — გაიფიქრა აიმანისმა.

მესამე დღეს, მთის ფერდობზე, რომელიც დაუენრლი იყო შარშანდელი თოვლით, მათ შორიდან დაინახეს ცხენები.

— აი ცხენებიც! სიხარულით წამოიძახა აკაიმ. მოხუცმა და აიმანისმა ყურადღებით მიაპყრეს თვალი ცხენებს. აიმანისმა უკეთ გაარჩია ყველა ცხენი და შეეკრთხა აკაის:

— ყველა შენია?

— ჩემია! — უპასუხა აკპიმ.

შერჩე დღეს, საღამოთი, ცხენები კარავთან მორეკეს.

პაიდორა მოელი ამ დღეების განმავლობაში ხდედა არაყს. აკპაი სიამოვნებით ისვენებდა. ბავშვი კი გული არ უთმენდა, მას უნდოდა რაც შეიძლება მალე წასულიყო ტბისაკენ. მას ჯერ არასოდეს არ ენახა ასეთი დიდი ტბა.

მრავალი ტბაა აღტაის მთებში. ისინი გაფანტული არიან მწვანით მოქარგულ მთის ხეობებში. მაგრამ ასე დიდი ტბა არსად არ არის აღტაიში. და ამიტომ ელოდა მოუზმენლად აიმანისი იმ დროს, როცა ისინი დასტოვებდენ საზაფხულო კარავს.

აი, დადგა ეს დღეც. დილით აღრე აღგენ, ტყავის აბგებში ჩაალაგეს თავისი ივლადიფება, შეკაზეს ცხენები, აპიდეს ტვართი და გაემგზავრენ.

შუადღის უამს ისინი მივიდენ ამღვრეული დიდი მდინარის ხეობაში. მარცხნივ აქაფებულ ჩანჩქერად ექანებოდა მთიდან მდინარე. ღრმა და ვიწრო ხეობაში ბალახის და ყვავილების სამური სუნი იდგა. ამ ხეობიდან არ მოსჩანდა მდინარე, მაგრამ აკპაი ეუბნებოდა ბავშვი — ტბა ძალიან ახლოს არისო.

ისინი მიუახლოვდენ ხის კარავს, შეაღეს კარები და აიმანისმა დაინახა, რომ აკპაი გაცილებით უფრო მდიდარია, ვიდრე ის ფიქრობდა წინათ. ცხენებს ჩამოხსნეს ტვირთი და ტომრები ყუთები და ტყავის აბგები შეიტანეს კარავში. კერაზე ცეცხლი გააჩაღეს, და დაიწყო ახალი ცხოვრება.

აიმანისი ხედავდა, რომ მათი კარავის მახლობლად კიდევ იდგა ხუთი კარავი, რომლებიც იმავე დღეს გაიკსო ხალხით.

სალამორი ექვსივე კარავიდან ამოდიოდა კვაძლი.

ბავშვის შესახებ დაწვრილებით გამოჰყიოხეს აკპაისა და პაიდორას ყველა იწონებდა მათ საქციელს.

— აიმანისი კარგი ბავშია! — ამბობდა აკპაი.

— კარგი ბავშია! — ადასტურებდენ სხვებიც.

გამოდა ახალი ცხოვრება.

რედ საკმაო იყო. ობილოდა. თუმცა აქა-იქ მოსჩანდა შემოდგომის სუსხით შეყვითლებული ფოთლები, მაგრამ დღასით მაინც საკმაოდ თბილოდა. საქონელს არ აწუხებდენ არც კოლოები და არც სხვა მწერები.

იწყებოდა წელიწადის საუკეთესო დრო — ნაადრევი შემოდგომა.

— მოემზადე, აიმანის, — შესხახა მოსულებული სათევზაოდ წავალთ ტბაზე.

აიმანისიც სწორედ ამას ელოდა:

სათევზაო ტბაზე.

ტბა ვეებერთელა იყო. მაებს შორის ჩატედილი, ის ვიწრო მოსჩანდა, მაგრამ შორ მანძილზე იყო შექრილი ჩრდილოეთისაკენ. შეიძლებოდა მიხვედრა, რომ ორივე მხრივ აღმართული მოები ავიშროებენ და ფარავენ მას ამ მოებს შორის იშლება ტბის ლურჯი სივრცე.

წყალში ჩაუშვეს ნავი. ნავს ერთ აღგილის აღმოჩნდა ხვრელი, საიდანაც წყალი შედიოდა. ხვრელი ბალახებით ამოავსეს.

დაღამებამდეს ყველაფერი მოამზადეს. ახლა ელოდენ მხოლოდ დაბინდებას, რომ დაეწყოთ თევზაობა.

მზე ჩადიოდა. მწვანით მოქარგული მოები, რომელიც აღმართული იყვნენ ტბასთან, უკანასკნელად აელვარდენ ჩამავალი მზიდან ნატყორცნი სხივებით. მალე მზეც მიიმალა და მოები სიბნელემ მოიცავ.

აკპაი და აიმანისი ცეცხლის პირს ისხდენ. აკპაი არაყს სვამდა და ცოტა შეზარხოშებული ეუბნებოდა აიმანისს:

— ამ ტბას უწოდებენ აღტინ-კოლს, — „ოქროს ტბას“. მას ომიტომ ეძახიან ამ სახელს, რომ ტბის ფსკერზე ძევს ცხენის თავის ღდენა იყო; ოირატი ძუნწი იყო; მხოლოდ იმას ცდილობდა, რომ რაც შეიძლებოდა მეტი ოქრო დაეგროვებინა. როცა დაიწყო შიმშილობა, მას შემოელია საჭმელი და წავიდა პურის საყიდლად. მაგრამ ვისგან უნდა ეყიდა პური, როცა ყველანა შიმშილობა იყო? ოქროს პატარა ნაჭრებს ზედაც არ უყურებდენ: — რაში გამოვადებაო! მაშინ იორატი გადასწყვიტა პურის ერთ ნაჭერში მიეცა ცხენის თავის ღდენა ოქრო. ის ფიქრობდა ვინმე მოეტყუებია, წავიდა მახლობელ სოფელში. შიმშილისაგან ძლივს მიღიოდა. ოქროს არავინ დაეხარბა. ოირატი ყველგვარი იმედი გაუცრუდა. იგი ხელუარიელი გამობრუნდა უკან, ავიდა მაღალ მთაზე და იქედან ტბაში გადაგდო ის ოქრო, სწორედ ამ მთიდან,



ამ რ. ლუქსემბურგის სახელმძის საბავშო სახლის ბავშები ბერლინში. ეს სახლი მოაწყო რემედასმა. ამ სურათზე გამოხატულია ბავშები მეცადინების დროს.

თითოთ აჩვენა აკპაიმ ბავშს. მას შემდეგ თვათონ მთასაც უწოდებენ ალტინ-ტუს — „ოქროს მთას“.

მთები ბინდში გაეხვიენ.

— აი, დაღამდა კიდევ, — უთხრა აკპაიმ ბავშს, — დროა საქმეს შევუდგეთ.

მოხუცი და ბავში ჩასხდენ ნავში. აიმანისმა ხელში აიღო ჭოკი, აკპაი ნაერის წინა ნაწილზე და- დგა და ანთებული კვარით ინათებდა გზას. ნავის წინ კრთოდა ცეცხლის ნათელი წრე. ანკარა წყა- ლის ფსკერი განათებული იყო. ნავიდან კარგად მო- სიანდა ქვები და მდინარე თევზებით, რომელთაც თავი ჰქონდათ შემალული ქვებში.

ნავი წყნარად მიდიოდა წყლის ზედაპირზე. აკ- პაი ასწავლიდა ბავშს ნავის წაყვანას; აიმანისიც კარ- გად უძლვებოდა ნაერს.

როცა მოხუცი დაინახავდა მდინარე თევზებს, იგი მაშინვე დაჟრავდა ჭვილთს; ჭვილთით ამოყვა- ნილ თევზებს ის ნავში აწყობდა.

ჩვენმა მეოვეზეებმა საჭმალ ბევრი თევზი და- იჭირეს და კმაყოფილი გაეშურენ თავისი კარავი- საკუნ.

ტბა დაწყნარებული იყო წყალი შავად მოს- ჩანდა. ანთებული კვარის ალი ტბის ნაპირებზე ან- თებდა ქვებსა და ხეების შტოებს.

დილით, როცა აიმანისი წამოიჭრა ზეზე, ტბის გაღმა ნაპირზე დაინახა ალტინ-ტუს ორთავიანი წვე- რი, ხოლო მის მარცხნივ, ხეობის ზევით, მთა ტო- ლოვე.

ვეებერთელა წყნარი ტბა მტრედისფრად გა- მოიყურებოდა.

ამოვიდა მზე. უეცრად დაბერა ჩრდილოეთის ქარმა.

— ქვენა ქარი მოდის, — სთქვა მოხუცმა.

სანამ ისინი ჩაის შეექცეოდენ, სულ რაღაც ნა- ხევარი საათის განმივლობაში, მთელი ტბა დაფარეს ლურჯმა ტალღებმა.

აღლვდა ტბა. მისი წინანდელი სიწყნარე, რაც ასე მომხიბლავი იყო, აქაფებულმა ტალღებმა შთან- თქეს. მოვარდნილი ტალღები ღრიალით ასკდებო- დენ ნაპირებს, თითქოს ტბას უნდა გააჩლვიოს გარ- შემორტყმული კლდეებით.

ნადირობა დათვებზე.

დაიწყო ყ-ნვა. ბალახი დაჭინა... მახლობელი მიღიმოების მთები აჭრელდენ ყვითელი, წითელი და ყვისფერი ფოთლებით. ავდრები დაიწყო. მთებში ნისლი ჩამოწვა; მდინარე აიმღვრა. თეთრმა თოვლ- მა დაფარა გადამხმარი მიღამო. აცივდა კარავებშიაც. საქონელს საკვები შემოაკლდა; შემკირდა რძეც.

პაიდორა აღარ ხდის შემაზარხოშებელ არაუს. არ იშოვება ჭყინტლი ყველი. იკვებებიან ზაფხულზე დამზადებული გამომშრალი ყველით. სამაგიეროდ ახლოვდება ნადირობის დრო. აკაი თუმცა მოხუცია, მაგრამ სიმარდეში არ ჩიმორჩება სხვა მონალირებს.

ერთხელ ის გაემგზავრა ტაიგაში. როცა დაბრუნდა, სოქვა, რომ მიაგნო დათვის ბუნაგს. ის ამბობდა: არის იმის ნიშნები, რომ ბუნაგში ორი დათვიათ.

